საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტ. სარევოლიუციო პარტიის — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 248 [illegible] 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ პროლეტარულ რევოლიუციის თვალსაჩინო მებრძოლის ამხ.

## კამოს

ტრაღიკულად გარდაცვალების შესახებ

---

ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ ამა ივლისის 15-ს ღამით ტრაღიკულად დაიღუპა რევოლიუციის საუკეთესო მებრძოლი ძვირფასი ამხანაგი

## კამო (სიმონ) პეტროსოვი

დაკრძალვა მოხდება პუშკინის ბაღში

---

ტფილისის ქალაქის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს აღმასკომი და საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ამით აუწყებს, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა ამხანაგი

## კ ა მ ო

გამოსვენება მოხდება დღეს, სამშაბათს, 18 ივლისს.

---

გიორგი და ლიზა ბახჩიევები, ჯავაირა ხუტულაშვილი, სანდუხტა ნერსესოვი, არუსიაკ ცინცაძე და ლიუსია, პეტროსოვის ასული, თავზარდაცემულნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ამხანაგებს—პირველნი დისწულის, ხოლო მეორენი ძვირფასი ძმის

## კამო (სიმონ) პეტროსოვის

ტრაღიკულად სიკვდილს ამა 1922 წ. ივლისის 14-ს ღამით. დაკრძალვა მოხდება დღეს, პუშკინის ბაღში

---

# შტატების შემცირების გამო

ეს რამდენიმე ხანია სახელმწიფოს საბჭოთა დაწესებულებებში შტატების შემოკლება სწარმოებს. იგი ჯერაც დასრულებული არ არის და მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

მთავარი აზრი შტატების შემოკლებისა იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულება წარმოებანი განთავისუფლებულიყო ზედმეტი მუქთა-მჭამელისაგან და ზედმეტი ხარჯებისაგან (აპარატის გამარტივება) და ჩინოვნიკური ბიუროკრატიზმისაგან განთავისუფლება, როგორც სახელმწიფო, ისე სამეურნეო მექანიზმისა, იყო და არის მთავარი მიზანი ამ განუწყვეტელი „ლიკვიდაციებისა“ და შტატების შემოკლებისა, რომელსაც ჩვენს საბჭოთა დაწესებულებებში და წარმოებებში ჰქონდა და აქვს დღესაც ადგილი.

მთავარი იმპულსი შტატების შემოკლებისა მოგვცა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ და მისგან გამომდინარე დასკვნებმა. წარმოებამ უნდა დაჰფაროს თავის ხარჯები; ნაყოფიერება წარმოებაში გაწეულ შრომისა უნდა იდგეს ზედმეტი ღირებულების შექმნისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ გაუწევს კონკურენციას კერძო მწარმოებელს და თვითვე წაგებაში ჩარჩება; ამის შედეგად ჩვენ მივიღებდით სრულს გამარჯვებას კერძო კაპიტალიზმისას და სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ჩანასახი მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯზე გვექნებოდა.

მეორეს მხრით საბჭოთა დაწესებულებას უნდა გაეწია რა ანგარიში თვითეული დაწესებულების სპეციფიურ მდგომარეობისათვის და იმ რესურსებისათვის, რომელიც აქვს სახელმწიფო ორგანოებს, შტატი მოსამსახურეთა მაქსიმუმამდის უნდა შეემოკლებინა. არა მარტო შტატი, თვით ზოგიერთი დაწესებულებანი და განყოფილებანიც ამ შემოკლებას უნდა მოჰყოლოდა.

ყოველივე ამ მოსაზრებათა ცხოვრებაში გატარების შედეგი უნდა ყოფილიყო არა მარტო გამარტივება მთელი სახელმწიფოებრივ სამეურნეო მექანიზმისა ზედმეტი ბალასტისაგან. არამედ მას უნდა მოჰყოლოდა შრომის პირობების საკმაოდ გაუმჯობესებაც ხელფასის მომატების სახით.

შეიძლება ითქვას, რომ ეს კეთილი განზრახვა რამდენიმედ მიღწეულია; ჩვენ ვამბობთ რამოდენიმედ თქო იმიტომ, რომ სავსებით არ გვაქვს ყოფილები ამ ოპერაციის, როგორც წარსულის, ისე მისი აწმყოს პროცესი.

ჯერ კიდევ რომაელები იყვნენ იმ აზრის, რომ კანონი და კეთილი განზრახვა სახელმწიფო მეურნეთა ფუჭად ჩაივლის თუ კი მას კარგი შემსრულებელი არ ჰყავს. უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება სრულიად წინააღმდეგი შედეგი მიიღოს კაცმა, ვიდრე იგი ჰქონდა წარმოდგენილი ავტორს-რეფორმატორს.

ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ შტატების შემოკლების ნაკლებს და ცხოვრებაში გატარების დროს გამატარებელთაგან მისი აზრის დამახინჯებას და შეცვლას.

ამ გარემოებას კი ჰქონდა და აქვს ადგილი ხშირად სალიკვიდაციო კომისიისა და მის დამხმარე ორგანოების მხრივ.

თუ ლენინს კარგი ნოქარი და მუშა-მოსამსახურე გაცილებით ერჩია ცუდ კომუნისტსა და თანამგრძნობელს, ჩვენმა კომუნისტებმა ეს ალაგ-ალაგ დაივიწყეს და ცუდი კომუნისტი და „მოლაყბე“ თანამგრძნობელი არჩიეს საქმის ხალხს, საქმის მცოდნე მოსამსახურეებს.

რაღა თქმა უნდა, თუ გინდ სავსებით არა ერთნაირ პირობებში, უპირატესობა უნდა მიეცეს პოლიტიკურად სანდო და საბჭოთა ძალა-უფლების ერთგულ ელემენტს.

მაგრამ, როცა ეს ელემენტები უკიდურესობამდის მიდის, იგი ცხადია ზიანის მეტს არაფერს მოუტანს ჩვენს აღმშენებლობას.

ჩვენს ძალა-უფლებას ჰყავს პოლიტიკურად უკეთესი მოსამსახურენი, მაგრამ არა აქტიური და პოლიტიკური აზროვნების ევოლიუციის პროცესში მყოფნი. სამაგიეროდ ამათში ბევრია კარგი მომუშავე საქმისათვის გამოსადეგარი. ჩვენ მათ ხელს ვერ ვკრავთ მის ადგილზე ჩვენს ერთგულს, მაგრამ საქმისათვის გამოუსადეგარს ვერ დავაყენებთ. ამას არ მოითხოვს არც სახელმწიფოებრივი სიბრძნე და არც პოლიტიკური გამჭრიახობა.

ჩვენ არ მოგახსენებთ მენშევიკურს „ეკსპერტიობაზე“, მაგრამ რესპუბლიკის მტერთა შორის ბევრია ნამდვილი ეკსპერტი მუშა-მოსამსახურე, რომლებიც არ ეძებენ ხშირად მხოლოდ საბჭოთა ფარისეველ „თანამგრძნობელთა“ როლში გამოსვლას. ერთის მხრით ამ ელემენტებს საქმებით თავი ვერ დაუღწევიათ ძველი მენშევიკური მემკვიდრეობისაგან, რომლითაც საბჭოთა სისტემის არსებობა უარყოფს ყოველივე შემოქმედებითსა და ღირსეულ მუშაობას.

მეორე თვალით კი ბევრი ეკსპერტი უყურებს საბჭოთა მთავრობის საქმიან მუშაობას და გარკვეულ პოლიტიკას მუშათა კლასის სასარგებლოთ და საქართველოთ მიმართულს. მართალია ამ მუშაობაშიაც ბევრი რამ არ მოსწონთ (და ან აკუთრებით წმინდა ეროვნული მუშაობის სფეროში), მაგრამ ერთგვარი სულიერი მოძრაობა, ერთგვარი პსიქოლოგიური გარდატეხა საბჭოთა სისტემის სასარგებლოდ სწარმოებს ამ ეკსპერტთა მასებში. ყინული დაიძრა და ჩვენი ვალია მისი — გალღობა დავაჩქაროთ.

ეს კი შეუძლებელია იმგვარი უხეში პოლიტიკით, როგორსაც სალიკვიდაციო კომისიები, თუ კომისარიატები სჩადიან შტატების შემოკლებისას, თუ მოსამსახურის დათხოვნის დროს.

ხშირად ვითომ შტატი მოკლდება, ხალხს ითხოვენ და რამდენიმე დღის შემდეგ ახალი პირები ინიშნება. დათხოვნილი უმრავლესობა კი ეკსპერტნია. ასეთ შემთხვევაში შრომის დაცვის გარანტია თითქოს ფორმალური გზის შეცვლით ბათილდება და ამის გამო ეკსპერტი მუშა-მოსამსახურე უკმაყოფილო და შეურაცხყოფილია. მენშევიკებმა დაირქვეს „ეკსპერტის“ პოლიტიკური სიმბოლო და რა შუაშია წრფელი და პატიოსანი ეკსპერტი მუშა-მოსამსახურე? იგი ამ გაუგებრობის მსხვერპლი არ უნდა გახდეს. ჩვენ უშუალოთ შეიძლება ვიცოდეთ ის ფაქტისას, რომელიც „ტრიბუნის“ კვირის ნომერში „ეკსპერტი მუშა“ აღნიშნავს, რომ ეკსპერტის და ისიც ქართველს ლეგიტიმურ „ეკსპერტიო“ მენშევიკად და ამგვარად დათხოვნაც ხშირად ქართველ მუშა-მოსამსახურეთა ანგარიშზე ხდება.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს ყოველგვარმა კომისიებმა და კომისარიატებმა, რომ საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა, როგორც მენშევიკების დროს, ისე დღეს — ეკსპერტია; მაშასადამე საჭიროა მეტი სიფრთხილე და დაკვირვებულობა პოლიტიკური მოსაზრებით მოსამსახურეთა დათხოვნის, თუ შეცვლების დროს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ გვჭირია საქმის მცოდნე ხალხი; უნდა იგრძნოს ყოველმა მუშა-მოსამსახურემ, რომ სინამდვილეში, სიცხადეში არსებობს შრომის დაცვის კანონები და მისი ფუნქციით გადაქცევა არავის ძალუძს.

ხელი არ უნდა ვკრათ იმ ინერტულ მასსას, რომელიც აქტიურ აღმშენებლობაში ჩაბმა და თანდათანობით სახელმწიფოში გვერდში ამოყენება ჩვენი მიზანი უნდა იყოს.

ამ შემთხვევაში პროფკავშირებისა და შრომის კომისარიატის როლი განსაკუთრებულია. შრომამ უნდა იგრძნოს და იცოდეს, რომ მას ჰყავს დამცველი სპეციფიურ ორგანიზაციების სახით, რომ პროფკავშირები და შრომის კომისარიატი თვითნებობისა და თავისუფალი მოპყრობისაგან დაიცავს მშრომელ მასსებს.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს იდეა, მთავარი აზრი დადგენილების, თუ კანონისა, როცა შეუდგებით მის განხორციელებას ცხოვრებაში. ყველაზე უფრო დიდი მტერი ჩვენი სახელმწიფოსი, საბჭოთა ძალა-უფლებისა ის არის, ვინც უზრდის მას მტერთა რიცხვს, მოწინააღმდეგეთა რაოდენობას.

შტატების შემცირებისა და მოსამსახურეთა დათხოვნის დროს იმ მომენტების არსებობა, რომელიც ზემოთ აღვნიშნავდით, ნიშნავს მტერთა და უკმაყოფილოთა გაზრდას და მაშასადამე პირველად მას დაუდგება მუშურ-გლეხური წყობილების ერთგული მომხრე.

მეტი სიფრთხილე, მეტი მიუდგომლობა საქმეში და ნაკლები თვითნებობა, ნაკლები ახირებაც ადგილობრივ მესვეურთა.

ფიცხი.

# მუშათა საკითხი

### წინად და ახლა*)

დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში საზოგადოთ, და კერძოთ, საქართველოში წარმოების წესი, სამეურნეო ურთიერთობათა „ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზეა“ დამყარებული, თუმცა ჩვენი აზრით, ამ პოლიტიკის ზოგიერთი დებულებანი ძველი ურთიერთობიდანაა აღებული. დიდი და მნიშვნელოვანი საწარმოო დაწესებულებანი, როგორიცაა, მაგალითად, რკინის გზა, ქვანახშირი, პოლიგრაფია და სხვა — სახელმწიფოს ხელში რჩება, ამათზე ნაკლები მნიშვნელობისას — ქარხნები უმეტეს და ამასთან ერთად დაცულია კერძო საკუთრების ინსტიტუტიც. ყველაფერი ეს, რამდენადაც გვახსოვს, რევოლიუციამდეც ასე იყო. ზოგი წარმოება სახელმწიფოს ხელში იყო, ზოგი საქალაქო და საერობო თვითმართველობების, ხოლო დანარჩენი — კერძო კაპიტალისტების. ახლა თუ რამ აქ, ეს ისე რომ სახელმწიფო არის უმთავრესი რეგულიატორი და კონტროლი ყოველგვარი წარმოებისა. ხოლო თვით სახელმწიფოს აპარატი კი მუშათა კლასს უპყრია ხელთ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუმცა დაშვებულია კერძო ინიციატივა, კერძო წარმოება და შრომის ექსპლოატაცია, მაგრამ კაპიტალისტები მუდამ მუშათა კლასის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან და აშკარად ძალით სამოქმედო ასპარეზი და საექსპლოატაციო სარბიელი ერთობ შეზღუდულია. მაგრამ ეს მდგომარეობა ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ამით მუშათა კლასი სამუდამოდ უზრუნველყოფილი იყოს ბურჟუაზიის ბატონობისაგან, ბურჟუაზიის შემოტევისაგან. არა და ათასჯერ არა! პირიქით მუშათა კლასს ახლა გაცილებით მეტი სიფხიზლე და გამჭრიახობა მართებს, ვინემ ოდესმე, რათა პოლიტიკური ძალა-უფლება ხელიდან არ გაუსხლტეს. თვით ეს ფაქტი, რომ „ახალი პოლიტიკური ეკონომიით“ შეწყნარებულია კერძო წარმოების პრინციპი, ბურჟუაზიას დიდ ეკონომიურ უპირატესობას აძლევს ეკონომიურ სფეროში მუშათა კლასთან შედარებით და ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეკონომიკა პოლიტიკის საფუძველია. ასე რომ ბურჟუაზიის მკვდრეთით აღდგომა, მისი გაძლიერება ეკონომიურად, ეს თავისთავად დიდ საფრთხეს წარმოადგენს მუშათა კლასის პოლიტიკური ჰეგემონიისათვის. აქედან აშკარაა, მუშათა კლასმა მთელი გულისყური იქითკენ უნდა მიაპყროს, რომ ასეთი გაძლიერება ბურჟუაზიისა არ მოხდეს. რა გზით შეიძლება ამის მიღწევა? რა თქმა უნდა არა რეპრესიებით, არამედ შემოქმედებითი, ორგანიზაციული მუშაობით, სამეურნეო ცხოვრებაში ჩაბმით და მონაწილეობის მიღებით არა როგორც დაქირავებულ, არამედ როგორც მწარმოებელი. დიახ, სახელმწიფო, საქალაქო და კერძო წარმოებათა გვერდით ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი საკუთარი მუშათა საწარმოო დაწესებულებანი ანუ არტელები, სადაც ადგილი არ ექნება დაქირავებულ შრომას, სხვისი ნაშრომის მითვისებას, ექსპლოატაციას, სადაც ყველანი ძმობისა და თანასწორობის საფუძველზე შეკავშირებულნი შექმნიან ამხანაგურ წარმოებას და სადაც სიტყვა „ამხანაგს“ მიეცემა რეალური აზრი და მნიშვნელობა, ვინაიდან ასეთ წარმოებაში მწარმოებელთ ექნებათ ერთად ერთი ლოზუნგი: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის! ასეთი ამხანაგური საწარმოო დაწესებულებანი გადაიქცევიან სოციალიზმის ჭეშმარიტ აკვნად, სადაც აღიზრდებიან სოციალიზმის პირმშო შვილები, მისი ცხოვრებაში განმახორციელებელნი. დაარქვით ასეთ წარმოებას რაც გინდათ — საწარმოო კოოპერატივი, არტელი, ამხანაგობა, სულ ერთია — შინაარსი ერთი და იგივე დარჩება — ნაშრომი მშრომელს, — პარაზიტებს არაფერი, რაიც წარმოადგენს სოციალიზმის მთავარ დებულებას.

რა დასამალია, რომ სოციალიზმი დღეს დღეობით, მიუხედავად მუშათა ძალა-უფლებისა, ამიტომ ვერ ეღირსა განხორციელებას, რომ მუშები ვერ შეხვდნენ მას ჯეროვნად მომზადებულნი. საკმაო არ ყოფილა საწარმოო იარაღებისა და ქარხანა-ფაბრიკების მეპატრონეთაგან ჩამორთმევა და მუშებზე გადაცემა, არა, თავი და თავი ყველა ამის მოხმარება, წარმოების გაძღოლა გახლავთ, ხოლო ამისათვის კი ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო. მერე და სად უნდა შეიძინოს მუშამ ყველაფერი ეს? რა თქმა უნდა, თავის საკუთარ წარმოებაში. ასეთ ამხანაგურ საფუძვლებზე მოწყობილ ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშები პრაქტიკულად უნდა შეეჩვიონ წარმოების გაძღოლას, მის ხელმძღვანელობას რომ საჭიროების დროს მათ შესძლონ სათავეში ჩაუდგნენ მთელი სახელმწიფოს საწარმოო დაწესებულებათ.

სამწუხაროდ, ჩვენში ამ საქმეს თავიდანვე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. თუ ასეთი უყურადღებობა მუშათა არტელისადმი წინად დასაშვები და გასაგებიც იყო, დღეს, პირიქით, გაუწონელი შეცდომის ჩადენა იქნება ასეთივე უყურადღებობა ამ საქმისათვის.

სახელმწიფომ, რომლის მოვალეობასაც შეადგენს უმუშევარ მუშათა დახმარება, ეს დახმარება იმ მხრივ უნდა აღმოუჩინოს უმუშევართ, რომ შეაკავშიროს ისინი, მოუწყოს სახელოსნო თუ ქარხანა და მისცეს საჭირო საშუალება საქმის მოსაწყობად. ყოველივე სხვა გვარი დახმარება უმუშევართადმი, იქნება ეს ფულისა თუ სურსათის სახით, მხოლოდ პალიატიურ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან მას სარგებლობის ნაცვლად ზოგჯერ ზიანის მოტანაც შეუძლია, ვინაიდან მსგავსი დახმარება ქველმოქმედების ხასიათს ღებულობს, რაიც რყვნის უმუშევარს იმით რომ აჩვევს უშრომელ გატანჯულ ცხოვრებას.

უმუშევრებზე ზრუნვა სახელმწიფოს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, მაგრამ რაც არ უნდა სახელმწიფოს, რაც უნდა ძლიერი იყოს ის ფინანსიურად, არ ძალუძს უმუშევრის ცოტად თუ ბევრად დაკმაყოფილება ფულით, ვინაიდან უმუშევრობა თან და თან ძლიერდება, უმუშევართა რიცხვი მრავლდება და მათი სახელმწიფო ხარჯით შენახვა შეუძლებელია. სახელმწიფოს შეუძლია ერთდროულად გადასდოს უმუშევართა ფონდისათვის ესა თუ ის თანხა, მაგრამ თუ ეს ხარჯი უმალვე არ იქნა შევსებული, ფონდი სავსებით დაიხარჯება, ხოლო ახალი თანხის გადადება ხომ ვიცით როგორი ძნელია.

მართალია და მიზანშეწონილიც არის საზოგადო სამუშაოების მოწყობაც, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ და დღესაც მიმართავენ სხვადასხვა სახელმწიფოები უმუშევრობისაგან შექმნილ მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მაგრამ უპირატესობა დღევანდელ პირობებში აუცილებლად მუშათა საწარმოო ამხანაგობებს უნდა მივაკუთვნოთ, ვინაიდან, როგორც მოვიხსენიეთ ასეთ წარმოებებში ინიციატივა უშუალოთ მუშებს ხელთ არის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მიზანი ხომ ის არის, რომ მუშა შეიქნას ყველაფრის გამგე პატრონი, ცხოვრების ხელმძღვანელი, კულტურისა და ცივილიზაციის დარაჯი! და რასაკვირველია შეიძლება ამ საფეხურამდე ამაღლდეს მუშა, თუ იმას კვლავ დავუტოვებთ უსულო მანქანების უბრალო დამატებად, საწარმოო ტექნიკის უმნიშვნელო მარჯვლად? კერძო წარმოებაში ხელმძღვანელობა მწარმოებლის ან მისგან დაყენებული ადმინისტრატორის ხელშია, მუშა აკეთებს იმას, რასაც უბრძანებენ — არც მეტი არც ნაკლები. სახელმწიფო ქარხანა-ფაბრიკებში ხაზეინის ნაცვლად მხოლოდ უძღვება საქმეს ხოლო მუშის სამოქმედო სარბიელი აქაც მტკიცედ შემოფარგლულია, აქაც მუშას არაფერი ეკითხება და მისგან მხოლოდ ადმინისტრაციის მორჩილებას მოითხოვენ. ასეთ პირობებში ჩაყენებული და აღზრდილი მუშა, ცხადია ვერ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს ეკონომიურ ცხოვრებას, თუ ის მოექცევა სათავეში. მწარმოებელი მუშათა კოოპერატივი კი ნამდვილი განხორციელებაა მუშის დამოუკიდებლობისა და თვითმოქმედების.

მაშ ხელი შევუწყოთ მის მოწყობას, განვითარებას.

ბ. დ—ძე.

*) შემდეგი იხ. „ტრიბუნა“ № 245.

# ესერების პროცესი

მოსკოვი 15 ივლისი. 14 ივლისის დილის სხდომაზე ტრიბუნალი შეუდგა პროცესის მთავარი პერიოდის განხილვას, ესერების ტერორისტული მოქმედების გამორკვევას. აქვეყნებენ ციტატებს პარტიის მე-4 ყრილობის დადგენილებებიდან გოცისა და ჩერნოვის წერილებიდან. გოცის წერილში ნათქვამია, რომ „აუცილებელია“ ძველ ნაცად ტაქტიკაზე გადასვლა“. ამ ტაქტიკის შინაარს ააშკარავებს ბრალდებული რატნერის ქალი, რომელმაც მე-4 ყრილობაზე შეიტანა წინადადება, რომ თუ ბოლშევიკები მიმართავენ დასჯას, მაშინ ესერების პარტიამ უნდა მიმართოს ტერორს. ამ მხრივ რატნერის ქალი ურჩევდა ყრილობას ემოქმედა ფრთხილად და ჯერ-ჯერობით შედგომოდა მხოლოდ მებრძოლი რაზმების მოწყობას.

დამატებით აქვეყნებენ კიდევ ერთ დოკუმენტს—პროკლამაციას, რომელიც მიმართულია სახალხო კომისართა საბჭოსადმი ესერების პარტიის ცეკასაგან, რომელშიც ცეკა აფრთხილებს სახალხო კომისართა საბჭოს, რომ იმ შემთხვევაში თუ დაპატიმრებულ ესერების პარტიის წევრებს მოელით რაიმე საფრთხე, მათი სიცოცხლის პასუხისმგებელნი იქნება სახალხო კომისართა საბჭო.

ეს განცხადება გაკეთებული იყო საბჭოთა ხელისუფლების იმ დადგენილების საპასუხოთ, რომლითაც ესერების პარტიის დაპატიმრებული წევრები ცხადდებოდენ ძევლებათ.

ბრალდებულები რატნერი და გოცი ამტკიცებენ, რომ პარტიის მე-4 ყრილობაზე არ ყოფილა დასმული საკითხი ტერორის შესახებ. როდესაც „ნაცად ტაქტიკაზე“ გვქონდა ლაპარაკი, აქ მხედველობაში გვქონდა დამფუძნებელი კრების შეიარაღებული თავდაცვა, თუ კი საბჭოთა ხელისუფლება რაიმეს განიზრახავდა ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ. ბრალდებული კონოპლიოვას ქალი, აცხადებს, რომ მთელ რიგ კრებებსა და პოლიტიკურ თათბირებზე ტერორს უყურებდენ, როგორც დამფუძნებელი კრების დასაცავ იარაღს.

სასამართლო გადადის სახალხო-კომისართა საბჭოს მატარებლის განზრახულ დამსხვრევის პირობების გამორკვევაზე. სემიონოვი აცხადებს, რომ მასთან მივიდა პეტროგრადის კომიტეტის წევრი ესტრინი და სთხოვა მას შოვნა ერთი ფუთი პიროქსილინი ძალიან დიდი საქმისათვის, რომელიც მას პარტიის ცეკამ მიანდო.

ბრალდებული კონოპლიოვას ქალი იძლევა ჩვენებას პეტროგრადის კომიტეტის ერთ-ერთი სხდომის შესახებ, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი სახალხო კომისართა საბჭოს წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ. ეს გეგმა გამოიხატებოდა იმაში, რომ მოწყობილი უნდა ყოფილიყო სახალხო კომისართა საბჭოს მატარებლის დამსხვრევა, აფეთქების მოხდენა დაევალა ესტრინს, რომელიც ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა ცეკას წევრთ გოცთან.

გოცი უარყოფს როგორც თავის, ისე ცეკას მონაწილეობას სახალხო კომისართა საბჭოს მატარებელზე თავდასხმის ორგანიზაციაში.

პირველი ჯგუფის ბრალდებული ნიკოლოზ ივანოვი ამბობს, რომ მუშები უკმაყოფილონი იყვნენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ პეტროგრადის დატოვებით. ესერების პარტიულ მომუშავეთა წრეში დაიბადა აზრი არ გაეშვათ სახალხო კომისართა საბჭოს მატარებელი პეტროგრადიდან. წინასწარი გამოძიების დროს ივანოვმა განაცხადა, რომ ცეკას მიზანი იყო ან ლიანდაგის წახდენით ან და ორთქმავლის აფეთქებით ხელი შეეშალა სახალხო კომისართა საბჭოს პეტროგრადიდან მოსკოვში გამგზავრებისათვის. ამ აქტს უნდა ქონოდა მხოლოდ დემონსტრატიული ხასიათი. იგი ვერ განხორციელდა, რადგანაც საქმე სათანადოთ ვერ იქნა მომზადებული და სახალხო კომისართა საბჭო უფრო ადრე გაემგზავრა პეტროგრადიდან.

მიუხედავათ კრილენკოს მითითებისა, რომ თვით ივანოვის სიტყვებიდან სჩანს რომ განზრახული იყო მატარებლის დამსხვრევის მოწყობა ანდა ორთქმავლის აფეთქება, ბრალდებული ივანოვი მაინც ამტკიცებს, რომ იმ მატარებლის აფეთქება, რომლითაც მიდიოდნენ სახალხო კომისართა საბჭოს წევრები, ან და ლიანდაგის გაფუჭება, იყო არა ტერორისტული აქტი, არამედ უბრალო დემონსტრაცია.

დამცველ ჩერნოვის სიტყვით აქვეყნებენ ივანოვის ჩვენებას, რომელშიც ნათქვამია, რომ პარტიის ცეკა წინააღმდეგი იყო ტერორისტული აქტებისა, მაგრამ პარტიის ზოგიერთ წევრებს წინადადება ეძლეოდათ მოეწყოთ ასეთი აქტები თავისი პასუხისმგებლობით; ამავე დროს ასეთ დამნაშავეებს პარტიიდან არ რიცხავდენ.

ტიმოფეევი თავის ჩვენებაში, ესერების პარტიის ტერორისადმი დამოკიდებულების შესახებ, ამბობს, რომ ცეკას პირველ სხდომაზე, სადაც წამოიჭრა საკითხი ტერორის შესახებ, ეს საკითხი დასვა ივანოვმა, ცეკამ სავსებით უარყო ამ საკითხის არსებითად განხილვა.

დილის სხდომის დასრულებისას კონოპლიოვას ქალი აცხადებს, რომ რაბინოვიჩი გაემგზავრა მოსკოვში, სადაც მან დასვა საკითხი ლენინზე თავდასხმის მოწყობის შესახებ ცეკას ბიუროში. დაბრუნებულმა რაბინოვიჩმა ჩამოიტანა ბიუროს თანხმობა და გაცნობა, რომ ბიურომ ამ თავდასხმის მოსაწყობად გამოჰყო პარტიის ცეკას წევრი რიხტერი. მარტში კონოპლიოვას ქალი და ეფიმოვი ჩამოვიდნენ მოსკოვში და მივიდენ რიხტერთან, რომელმაც მოუძებნა მათ ბინა ამ თავდასხმის მოსაწყობად. მაგრამ მან ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა და იშოვნა მხოლოდ „კურარის“ შხამი ტყვიების მოსაწამლავად. ლენინის თვალყურის დევნება მოაწყვეს თვით კონოპლიოვამ და ეფიმოვმა.

აპრილის დასაწყისში მოსკოვში ჩამოვიდა გოცი, რომელმაც ინახულა კონოპლიოვას ქალი. კონოპლიოვამ შესჩივლა მას, რომ რიხტერი მათ არავითარ დახმარებას არ უწევს. გოცმა უთხრა მას, რომ არ შეცვლილა მისი პრინციპიალური დამოკიდებულება ლენინზე თავდასხმის საკითხთან, მაგრამ იგი [illegible] რა მდგომარეობას აღნიშნავს, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტი ხელიდან წასულია. ამიტომ მან წინადადება მისცა ამ საქმის ლიკვიდაციისა.

— 14 ივლისის საღამოს სხდომაზე, კრილენკოს შეკითხვაზე, როგორ უნდა გვეგოთ ტერორი, კონოპლიოვა უპასუხებს, რომ ლენინზე თავდასხმა ხდებოდა პარტიის ცნობითა და მისი უშუალო დახმარებით. მაგრამ ამ აქტის ჩამდენს დაეჭირებინ, მას დაკითხვის დროს უნდა განეცხადებინა, რომ ეს აქტი მისი პირადი მოქმედების შედეგია. მას უნდა დაემალა თავისი მონაწილეობა პარტიაში. ამ რიგათ, კონოპლიოვას ჩვენებით ირკვევა, რომ ერთის მხრით სურდათ პარტია განზე დაეტოვებინათ ასეთი აქტებისაგან და მეორეს მხრით კი შექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლენინზე თავდასხმა იყო ხალხის აღშფოთების შედეგი.

ბრალდებულები გენდელმანი და ლიხაჩი სცდილობენ სხვა და სხვა საშვალებით დაამცირონ კონოპლიოვა და აღმოაჩინონ წინააღმდეგობანი მის ჩვენებაში, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, რადგან კონოპლიოვა უპასუხებს მშვიდათ და მსწრაფლად არკვევს გენდელმანისა და ლიხაჩის ყველა ოქმებს. განმარტებას კონოპლიოვას მიერ მიცემული ჩვენების შესახებ იძლევა ბრალდებული ვედენიაპინი, რომელიც კონოპლიოვამ ინახულა მოსკოვში შესახვედრ ბინაზე. ვედენიაპინი ამტკიცებს, რომ მას არავითარი ლაპარაკი არ ქონებია კონოპლიოვასთან ლენინზე თავდასხმის შესახებ.

განმარტებას იძლევა გოცი, რომელიც ამბობს რაბინოვიჩის სიტყვებით, რომ კონოპლიოვას ქალს სწადდა ტერორის იდეა და რომ მას ამის შესახებ სურს მოელაპარაკოს გოცს. გოცი დასთანხმდა შეხვედროდა კონოპლიოვას, რადგანაც რაბინოვიჩმა უთხრა მას, რომ კონოპლიოვა ლაპარაკობს ინდივიდუალურ ტერორზე, პარტიული სახელწოდების გარეშე. მოისმინა რა კონოპლიოვას სურვილი ინდივიდუალური ტერორისტული აქტის ჩადენის შესახებ, გოცმა მიანდო რაბინოვიჩს დაესვა მოსკოვში, ცეკას ბიუროში საკითხი ტერორის შესახებ, კონოპლიოვას ახალი განმარტებით. რაბინოვიჩმა ჩამოიტანა მოსკოვიდან ბიუროს უარყოფითი პასუხი, რაც გოცმა აცნობა კონოპლიოვას. უკვე მოსკოვში გაიგო გოცმა, რომ კონოპლიოვა გაემგზავრა პეტროგრადიდან მოსკოვში და რომ მას სურს გოცის ნახვა. გოცმა ნახა კონოპლიოვას ქალი მორალურად სავსებით დაცემული. მისგან გაიგო მან, რომ იგი წამოვიდა მოსკოვში, წინააღმდეგ ცეკას ბიუროს დადგენილებისა, განსაზღვრული განზრახვით ტერორისტული აქტის მოხდენისა, მაგრამ მას არაფერი არ გამოუვიდა.

გოცმა შეიცნო რა შემაძრწუნებელი მდგომარეობა კონოპლიოვას ჯანმრთელობისა, ურჩია მას წასულიყო თავის ოჯახში დასასვენებლათ. რომ კონოპლიოვასთან ერთად მუშაობდა ეფიმოვი მოსკოვში, გოცმა ეს გაიგო ტიმოფეევისაგან.

ბრალმდებლებისა და ბრალდებულთა მეორე ჯგუფის დამცველების შეკითხვაზე, გოცს არ შეუძლია განმარტოს თუ რატომ არ მიიღო პარტიის ცეკამ რაიმე რეპრესიული ზომები კონოპლიოვასა და ეფიმოვის მიმართ, რომლებიც ცეკას დადგენილების წინააღმდეგ გაემგზავრნენ მოსკოვში ლენინზე თავდასხმის მოსაწყობათ.

მოსკოვი. (10 ივლ. [illegible]) ტიმოფეევი თავის ჩვენებაში [illegible] ცნობებს, რომ [illegible] მოსკოვში ჩამოვიდა ცეკას რწმუნებული რაბინოვიჩი, რომელმაც შეატყობინა, რომ ვინმე პიროვნებამ წინადადება მისცა გოცს მოეწყონ ტერორისტული აქტი.

ცეკას ბიურომ კატეგორიულად გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ. შემდეგ ტიმოფეევი შეხვდა ბრალდებულ ეფიმოვს, რომელმაც მას აცნობა, რომ ის ჩამოვიდა მოსკოვში კონოპლიოვასთან ერთად ლენინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოსაწყობად. ტიმოფეევს ქონდა ეფიმოვთან ხანგრძლივი საუბარი, რომლის დროს გამოსთქვა განცვიფრება, რომ ძველ პარტიულ მუშაკმა ეფიმოვმა მიენდო ასეთ ისტორიას. ტიმოფეევმა თხოვა მიეყვანათ მასთან კონოპლიოვა. კონოპლიოვა მოვიდა ეფიმოვთან ერთად. ტიმოფეევს მასთან ხანგრძლივი საუბარი ქონდა, რომელშიაც აღნიშნა ტერორისტული აქტების მიზანშეუწონლობა იმ დროს, როდესაც მასაში არ არის განსაზღვრული სულიერი განწყობილება.

არავითარი სასჯელი ზომები ეფიმოვს და კონოპლიოვას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის თვინიერი მოწყობისათვის ტიმოფეევს არ მიუღია: ის ვერ ხედავდა გადამწყვეტი ზომების მიღებას [illegible], მაგრამ თავგანწირულ ხალხის წინააღმდეგ. ტიმოფეევი ამტკიცებს, რომ ცეკასათვის აუცილებელი ყოფილიყო ტერორისტული აქტის მოწყობა, მაშინ ამ საქმეს მიანდობდენ არა რიხტერს, არამედ თვით ტიმოფეევს.

ბრალდებული ეფიმოვი იძლევა ცნობებს, რომ 1918 წელს ის შეხვდა პეტერბურგში პარტიულ ბინაზე რაბინოვიჩს, რომელმაც წინადადება მისცა მას შევიდეს ტერორისტების ჯგუფში. მეორე რიგჯერ შეხვედრისას რაბინოვიჩმა წინადადება მისცა ეფიმოვს წასულიყვნენ მოსკოვში ტერორისტული აქტის მოსახდენად, რაბინოვიჩმა კი არ აცნობა მას ვის წინააღმდეგ ეწყობა ტერორისტული აქტი და განაცხადა, რომ დაწვრილებით ინსტრუქციებს ის მიიღებს მოსკოვში რიხტერისაგან. ბოლოს ეფიმოვმა გაიგო, რომ პარტიის ცეკამ მისცა სანქცია ლენინის და ტროცკის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოსაწყობად.

# წრეგადასული ერთგულება

ცნობილია, რომ ბოლო დროს ჩვენში მოდად იქცა ლაპარაკი და წერა ერთობაზე, ყველაფრის გაერთიანებაზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ წინადადებას აძლევენ გაერთიანონ ის, რაც უკვე გაერთიანებულია, ოღონდ კი მოიხვეჭონ არქიკოსმოპოლიტის, ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტის სახელი.

ამასთან სრულიად არ უფიქრდებიან იმას, საჭიროა თუ არა ესა თუ ის გაერთიანება საქმის ინტერესებისათვის არსებულ პირობებში? მსჯელობენ მარტივად: ერთობა და გაერთიანება კარგი საქმეა, ამიტომ ზედმეტია ბევრი ლაპარაკი, მოდი გავაერთიანოთ, მორჩა და გათავდა.

რა თქმა უნდა, რომ ეს ერთობა, გაერთიანება კარგი და სასარგებლო რამ არის. ეს, გვგონია, საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ საჭიროა ვიცოდეთ, როგორ გავაერთიანოთ, როგორ შევქმნათ ნამდვილი, ჭეშმარიტი ერთობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ სწორედ სულ სხვა შედეგი, ვინემ ის, რომლისაკენ მივისწრაფით. ე. ი. ჩვენ გვექნება გაერთიანების მაგივრად განცალკევება.

და მაშინ მივიღებთ გაერთიანებას გაერთიანებისათვის, გაერთიანებას უსიცოცხლოს, მექანიკურს, რომელიც მოხვეულია გარედან, ერთი სიტყვით, გამოწვეულია ხელოვნურად.

საჭიროა ცხადად და გარკვევით განვაცხადოთ: ისინი, რომელნიც ცდილობენ ასეთი წესით გაერთიანებას, სჩადიან ძალიან მავნე საქმეს, ისინი ფრიად ცუდ სამსახურს უწევენ გაერთიანების საქმეს, არამც თუ არ აერთიანებენ მუშებს და გლეხებს, არამედ, პირიქით, სთიშავენ მათ და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: შორს ასეთი „გამაერთიანებლებისაგან“.

ასეთი აზრები დაგვებადა, როცა ვკითხულობდით „პრავდა გრუზიი“-ს № 382-ში წერილს სათაურით „სამართლის და სასამართლოს გაერთიანება“, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით: ბ. ა.

წერილი მოთავსებულია სადისკუსიო წესით, მაგრამ რედაქცია უკეთესს იზამდა, რომ ეს სულ არ დაებეჭდა. მე არ ვიცი, ვინ იმალება ამ ინიციალებში, შეიძლება რომელიმე რკინის გზელი—„გამაერთიანებელი“, ან რომელიმე შტატგარეშე დარჩენილი იურისტი, და იურისტი, ალბად, ფრიად ცუდი,—ამ გარემოებას არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაგრამ საქმე ის არის, რომ „პრავდა გრუზიის“-ში მოთავსებულ, ზემოხსენებულ წერილის ავტორს, ეტყობა, ოდნავადაც ვერ შეუთვისებია და ვერ გაუგია ანბანიც საბჭოთა კონსტიტუციის.

ავტორი ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა, რომლის ძალით მოხდა გაერთიანება ფინანსიურ და საგარეო პოლიტიკის და სხ. „მოითხოვს სამართლის ერთობას და ამ სამართლის დამცველ ორგანოს, ე. ი. სასამართლოს ერთობას“. დებულება სავსებით სწორია, მაგრამ ბ. ა. ღია კარებს ეხეთქება, ვინაიდან ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში, როგორც არიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, ერთიანია სამართალი და სასამართლო, რამდენადაც ისინი არსებობენ. ხოლო წერილის ავტორს ეჩვენება სულ წინააღმდეგი. „მოსახლეობის შერეულობის წყალობით,—ამბობს ის, კავშირის განუწყვეტელი ზრდის წყალობით—ურთიერთობათა ამგვარ შეჯახებას სისტემატიურად ექნება ადგილი; ხოლო, რაც მთავარია, ამ შეჯახებათა დროს სხვადასხვა სასამართლოების მიერ სადაო საკითხები განსხვავებულად გადაიჭრებიან, ე. ი. ფაქტიურად ეკონომიურ ცხოვრებას არ ექნება ერთიანი მომწესრიგებელი ფაქტორი, ის არ იქნება დაცული ერთნაირ ნორმებით (?!), რის გამო ის თანდათან დაიშლება, რადგან ბოლოს და ბოლოს ის აღმოჩნდება დაუცველი და უუფლებო“. ამ გვარად, ავტორის აზრით გამოდის, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებობენ განსხვავებული სამართალიც, განსხვავებული სასამართლოებიც, განსხვავებული ნორმებიც!

ასეთი უაზრობა შეიძლება სთქვას კაცმა, რომელსაც სრულიად არაფერი გაეგება საბჭოთა კონსტიტუციისა. ავტორი ეხება ფრიად უბრალო საკითხებში. მას, მაგალითად, ვერ წარმოუდგენია რკინის გზას ერთიანი წესდების შემქმნის დროს—როგორ გადაიჭრებიან არა სპეციფიური სარკინიგზო საკითხები, როგორც დასახიჩრება, გზით გადასახადი, ხიდების დაკარგვა და საერთო ხასიათის საკითხები. თუ რამდენად სულ ვერ ერკვევა ბ. ა. საბჭოთა სტრუქტურაში და რამდენად უცხოა მისთვის მუშურ-გლეხურ ხელისუფლების პრინციპები სჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან: „მაგალითად, გზის (რკინის გზის) სხვა და სხვა ადგილას დადებულია მთელი რიგი ერთიანი ხელშეკრულებები—და შეიძლება მოხდეს, რომ ყველა ეს ერთი და იგივე ხელშეკრულებები სხვა და სხვა რესპუბლიკებში გადაიჭრებიან განსხვავებულად, როცა ქმნის არევ-დარევას გზის საქმეებში. წამოიჭრება მთელი რიგი ძნელად გადასაწყვეტი საკითხების: დადებულია ხელშეკრულებები ერევნსა და ბაქოში შპალების დამზადებაზე, მეორე ხელშეკრულება დადებულია ნავთის მოწოდებაზე აზერბეიჯანის მიერ. რომელი რესპუბლიკის რომელი კანონით უნდა ხელმძღვანელობდეს გზა, რომელი სასამართლოების მიერ უნდა გადაიჭრას დავა“?

მე ვამბობ: ამ სტრიქონების ავტორი ან თვითონ გულუბრყვილოა, ან და მკითხველების გულუბრყვილობის იმედი აქვს. მართლაც, რკინის გზა განა ბავშვებისაგან შესდგება, რომლებმაც არ იციან, თუ ვისთან აქვთ საქმე? დარწმუნებულიც კი, რომ სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებში სხვა და სხვანაირად გადაიჭრებიან სარკინიგზო საკითხები, ვარწმუნებ წერილის ავტორს, რომ ამისაგან მსოფლიო არ დაიღუპება და არავითარი გაუგებრობა და არევ დარევა არ შეიქმნება, მაგრამ რას იზამთ, თუ ავტორის თავში სუფევს უდიდესი გაუგებრობა და წინააღმდეგობა, როგორც ასეთი გაუგებრობის და წინააღმდეგობის მაგალითი. შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი. თავის წერილის დასაწყისში ავტორი ამბობს, რომ საკითხი იმ პირების დაქვემდებარების შესახებ ორ კანონმდებლობაში, რომელნიც ერთმანეთთან კონტაქტურ ურთიერთობაში შედიან, „დღემდე არ არის გადაჭრილი დასავლეთში“ და ამ ფაქტს ის საკმაოდ სწორედ ხსნის იმ გარემოებით, რომ „იქ უხდებათ შეთანხმება სრულიად სხვა და სხვა და ეკონომიურად შეუკავშირებელ სახელმწიფოებს“. იბადება კითხვა: განა ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები სხვა და სხვა, ერთმანეთთან ეკონომიურად შეუკავშირებელი სახელმწიფოებია?

და როცა ბ. ა. რამდენიმე სტრიქონის შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკებს საგალითოდ უსახავს გერმანიას, შვეიცარიას და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებს, რომელთაც შემოიღეს „გაერთიანებული სასამართლო და ერთიანი სამართალი“ აქ პირდაპირ არ იცი, რაა უფრო გასაკვირი; ავტორის უვიცობა თუ თავხედობა!

კიდევ უფრო უაზრო და შეუსაბამოა შემდეგი ადგილი ბ. ა.—ს წერილში. „ძალაუნებურად იბადება კითხვა, ერთი და იმავე გზის მემანქანე, რომლის დაუდევრობის წყალობით მოხდა მატარებლის დამსხვრევა, მაგალითად სადგურ ფოილომდე, შეიძლება დაისაჯოს იქმნას დაპატიმრებით 5 წლამდე, ხოლო დამსხვრევის დროს ფოილოს შემდეგ მარტო 2 წლამდე? რატომ შეიძლება ყალბი ბონების მჭედავი ბაქოში, მაგალითად დაისაჯოს დახვრეტით, ხოლო ასეთივე მჭედავი ალექსანდროპოლში—მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით“.

პირველ ყოვლისა ამ სტრიქონების ავტორს უნდა გაეხსენებოდა, რომ ამიერ კავკასიაში არსებობენ დამოუკიდებელი რესპუბლიკები—სომხეთი, აზერბეიჯანი და საქართველო და მარტო ერთი ამიერ კავკასიის რკ. გზის ხელსაყრელობისათვის და მხოლოდ ამიერ კავკასიის რკ. გზის სარკინიგზო დავათა გადასაწყვეტად ისინი არ შეიძლება გაუქმებულ იქმნან და შემდეგ განა ერთი და იმავე რესპუბლიკის ფარგლებში, მაგალითად, საქართველოს ფარგლებში გორში, ქუთაისში, ფოთში და სხვაგან ერთი და იმავე ბოროტმოქმედებისათვის არ შეიძლება იქნეს გამოტანილი განსხვავებული განაჩენი ერთი და იმავე კანონების საფუძველზე ერთი და იგივე ტიპის სასამართლოების მიერ? არა მარტო შეიძლება გამოტანილ იქმნას, არამედ უნდა იქნეს აუცილებლად გამოტანილი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სასამართლოები არ იქნებოდენ სასამართლოები, არამედ, სრულებით სხვა რამე.

მაგრამ, სამწუხაროდ, არიან პირები, რომელნიც ვერ ხედავენ ასეთ განსხვავებას ვითარებასა და პირობებში. ერთი და იმავე რესპუბლიკის ფარგლებში, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან კარგად ხედავენ და ფრიად აზვიადებენ კიდეც ამ განსხვავებას, როდესაც მას ადგილი აქვს რესპუბლიკებს შორის. ასეთ პირებს კიდევ ბევრი რამ აკლიათ, არა მარტო იმისთვის, რომ ბ. ა.—ს მსგავსად, წერონ წერილები პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში, არამედ იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების თანამშრომლებად და მუშაკებად.

თავის პატარა წერილში ბ. ა.—მ, როგორც დავინახეთ, გამოიჩინა საბჭოთა კონსტიტუციის პრინციპების სრული უცოდინარობა. მაგრამ ეს უცოდინარობა, გაუგებრობა პირდაპირ თავხედობაში გადადის, როცა ის გვერდს უვლის ამიერ კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, თითქო წინასწარ აუქმებს მათ და წინადადებას იძლევა რესპუბლიკათა სასამართლოების გაერთიანების შესახებ.

ის ამბობს: „მაგრამ ეს საკითხი შეიქმნა მთელ რიგ მატერიალურ და პროცესუალ სამართლისა“), მისი სირთულის გამო, ცოტად თუ ბევრად შორეულ მომავლის საკითხია. მაგრამ ადვილი იქნება ამ გაერთიანების პრაქტიკულად შექმნა რესპუბლიკათა სასამართლოების გაერთიანებით, ,გზით რომელიც შეიძლება გატარებულ იქნას ფრიად უბრალოდ (ლიკვიდაცია) და მოკლე დროში (სწორედ და ერთბაშად!). სასამართლოები, უმთავრესად სახალხო სასამართლოები,—რომელნიც მოქმედებენ ცალკე რესპუბლიკებში,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროგრადში რაბინოვიჩმა უთხრა ეფიმოვს და კონოპლიოვს, რომ მოსკოვში ყველაფერი მზადაა აქტების მოსახდენად, მაგრამ როდესაც ეფიმოვი და კონოპლიოვა ჩამოვიდნენ მოსკოვში, დარწმუნდნენ სულ სხვაში მოსკოვში ისინი ყოველ დღე ნახულობდნენ რიხტერს და თათბირობდნენ მასთან შეთქმულების ორგანიზაციის შესახებ. კონოპლიოვას და ეფიმოვს პირადად ხვდით წილად თვალყურის დევნება ლენინის და ტროცკისთვის. ეფიმოვი გულგრილად ეპყრობოდა ამ საქმეს იმიტომ, რომ რიხტერმა მოსკოვში ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ განუცხადა ეფიმოვს, რომ პარტიას არ შეუძლია ეს აქტი სცნოს თავისად, თუმცადა უწინ იგივე რიხტერი აცხადებდა, რომ ტერორისტულ აქტს აწყობს პარტია. ტიმოფეევთან საუბარიდან, ეფიმოვს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ტიმოფეევმა იცოდა თუ რისთვის ჩამოვიდნენ მოსკოვში ეფიმოვი და კონოპლიოვა. ტიმოფეევმა მისცა ფული ეფიმოვს და ის კონოპლიოვასთან ერთად წავიდა პეტერბურგში.

15 ივლისის საღამო სხდომაზე მოსმენილ იქნა მოწმე რაკიტნიკოვის და ბურევოის ჩვენება, რომელიც არიან ესერების პარტიის ცეკას ყოფილი წევრები. ცეკას თებერვლის სხდომის შესახებ, სადაც ირჩეოდა საკითხი ტერორის შესახებ, ბურევოიმ განაცხადა, რომ საკითხს ტერორის შესახებ არ გამოუწვევია დიდი კამათი ცეკაში. ნათლად გამოირკვა, რომ უმრავლესობისათვის პრინციპიალურად მიუღებელი იყო იმ მომენტში ტერორისტული ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. მიღებული რეზოლიუცია უარყოფდა ტერორის შემოღებას საბჭოთა ხელისუფლების მოწინავეების მიმართ.

# ჰააგის კონფერენცია

**ერთიანი ფრონტი.**

მოსკოვი 16 ივლისი. გაზ. „როტე-ფანეში“ მოყვანილია ღია წერილი კომპარტიის ცეკასი მიმართული სოციალისტურ პარტიებსა და პროფ-კავშირებისადმი ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. მოწოდება მოითხოვს რეიხსტაგის დათხოვნას, კოალიციონური პოლიტიკის უარყოფას და მუშური მთავრობის შექმნას.

ამ მოთხოვნილებათა ასასრულებლად წინადადებას იძლევა საერთო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

**ჰააგა.**

მოსკოვი 14 ივლისი. წინასწარი ცნობა ჰააგის თათბირის დაშლის შესახებ, გახდა თემთა პალატაში შეკითხვის საგნად. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მთავრობას არ მოსვლია ოფიციალური ცნობა კონფერენციის დაშლის შესახებ. კონფერენცია მხოლოდ გაიყო ნა ერთ წერტილზე.

— გერმანიის გაზეთების უმრავლესობა ბეჭდავს ცნობებს კონფერენციის ჩაშლის შესახებ. გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ ხაზს უსვამს ინგლისის ტაქტიკის შეცვლას თანახმად საფრანგეთის სურვილებისა. გაზეთი „როტე-ფანე“ იწყობინება, რომ საბჭოთა დელეგაციას არ მოუხრია ქედი კაპიტალიზმის წინაშე. გაზეთის აზრით საბჭოთა რუსეთი არის დღესდღეობით ერთ ერთი შეურყეველი სახელმწიფო, რომელიც გარკვეულ პოლიტიკას აწარმოებს.

ბერლინი 14 ივლისი. კრედიტების ქვეკომისიამ რუსეთის დელეგაციის დაუსწრებლად განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა რომელიც გამოიწვია საბჭოთა დელეგაციის უკანასკნელი განცხადებამ გადასწყვიტა მოიწვიოს სხდომა რუსეთის წარმომადგენლების განაწილებით რათა გააცნოს მით ქვეკომისიის დადგენილება.

# უცხოეთი

**დანციგი.**

მოსკოვი. 15 ივლისი. დანციგის პრეზიდენტმა განაცხადა პროტესტი საფრანგეთ პოლონეთის შეთანხმების წინააღმდეგ და აგრეთვე იმის გამო, რომ ქ. დანციგი ხდება პოლონეთის საზღვაო ბაზად.

**ინგლისი და გერმანია.**

მოსკოვი, 15 ივლისი. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა პარლამენტში, რომ ბრიტანეთის მთავრობას აუცილებლად მიაჩნია განაგრძელდეს ვადა გერმანიის მთავრობის რეპარაციათა მორატორიუმის, რათა საშუალება მიეცეს გერმანიას მოაგვაროს თავისი ფინანსები.

**ამნისტია გერმანიაში.**

მოსკოვი. 15 ივლისი, ლანდტაგმა ბურჟუაზიულ პარტიების ხმებით უარყო წინადადება გაფართოებულ რაიხის გზებზე ამნისტიის გავრცელების შესახებ.

ყველა ერთი ტიპისაა. მაგრამ ისინი, გაუერთიანებელნი, ქმნიან განსხვავებულ პრაქტიკას“. რა საშინელებაა ყველა ამ უგონო „გამაერთიანებელთა“ გამოფიტულ თავებისათვის! როგორ იარსებოს რკინის გზამ ასეთ „განსხვავებულ პრაქტიკის“ დროს? მაგრამ ბ. ა. და მისი მზგავსნი ერთი წუთითაც არ ჩაფიქრებულან, რა თქმა უნდა. არეულ ათას მილიონ გლეხებსა და მუშებზე, რომელთათვის გასაგებია მათვის ყოველმხრივ მახლობელი სასამართლო. მაგრამ, ბოლოს, ეს ხომ საბჭოთა სასამართლოა, ერთი და იმავე ტიპისა ყველა რესპუბლიკებში, და როგორც ასეთი, ის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში არსებითად, თავისი სულით ერთიანია. და თუ არის განსხვავება, ეს გამომდინარეობს ყოფა ცხოვრების, ზნე ჩვეულების, კულტურის თავისებურებიდან, რის მოსპობა ზევიდან, მექანიკურად შეუძლებელია ეს მოითხოვს დროს სისტემატიურ და შეგნებულ მუშაობას და მოთმინებას. მაგრამ ბ. ა—ს არ სურს ცდა, მას არ ყოფნის მოთმინება. მას ეხლავე გამოაქვს თავისი ულმობელი განაჩენი. ის ამბობს; რათა შევათანხმოთ და გავაერთიანოთ მათი მოქმედება, უნდა მოვსპოთ 3 საკასაციო ინსტანცია ტფილისსა, ბაქოსა და ერევანში და შევქმნათ ერთიანი ცენტრი. ერთიანი საკასაციო ინსტანცია, რომელიც შექმნის სასამართლოების ერთნაირ პრაქტიკას ამიერ კავკასიაში“ უბრალოდ რომ ითქვას და ცხადათ ერთი კალმის მოსმით, ზედმეტი სიტყვების დაუხარჯავად. ავიღოთ და მოვსპოთ საკასაციო ინსტანციები ცალკე რესპუბლიკებში, არ შევეკითხოთ არც ამ რესპუბლიკების ხალხებს არც მათი საკანონმდებლო ორგანოებს; რომელიც ბ. ა—ს და მისი მაგავსების ბრძანებით ჯერ კიდევ არ არიან მოსპობილნი,—დაუყოვნებლივ, სულ მოკლე დროში უნდა მოკვდნენ ის, ვინაიდან ამას მოითხოვენ რკინის გზის ინტერესები სარკინიგზო დავათა გადაჭრის დროს. ბ. ა—ს ეს სურს ჩაიდინოს მხოლოდ იმისთვის, მათი აცილებაც იქნას არევ-დარევა, გაუგებრობა გზის საქმეებში. მაგრამ მას ოდნავადაც არ აინტერესებს ის საკითხი თუ რა გაუგებრობას შექმნის მის მიერ წამოყენებული ღონისძიება. თვით რესპუბლიკებში გაცილებით უფრო გასაგები და ლოღიკური იქნებოდა, რომ ბ. ა—ს წინადადება მიეცა: პირდაპირ მოგვესპოს ეს რესპუბლიკები—სომხეთი, აზერბეიჯანი და საქართველო, მათი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებით და სახალხო კომისართა საბჭოებით. მაგრამ ის ჯერ-ჯერობით ამის წინადადებას არ იძლევა. სხვანაირად როგორ წარმოუდგენია მას, ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკების, მათი ცენტრ. აღმ. კომიტეტების და სახ. კომ. საბჭოების დატოვების დროს, სასამართლო ინსტანციების ფორმალური გაერთიანება ამ რესპუბლიკებში? ეს მარტო ერთმა ალახმა უწყის.

მაგრამ ბ. ა—ს დასახელებული წერილი სიმპატიურია. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთაც ჩაუცვამთ საბჭოთა „პლაში“, მაგრამ რომელთათვის ყველაფერი საბჭოთა უცხოა. ისინი იგონებენ სხვა და სხვა „გაერთიანებებს“ არა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ, არა მუშების და გლეხების ინტერესებისათვის, არამედ რაღაც სხვა მიზნებისათვის. თავის თავად ბ. ა—ს წერილი უაზროა, ის ვერ უძლებს მცირე კრიტიკასაც კი, ის მოკლებულია ყოველგვარ ლოღიკას და საღ წინადადებებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის გამოხატავს ზოგიერთი წრეების განწყობილებას და მაშასადამე, ბ. ა—ს ყავს თავისი მომხრეები. მაგრამ ჩვენ ვაცხადებთ: დეე იყვნენ ეს ადამიანები ცოტა უფრო ფრთხილნი თავიანთ მოქმედებებში, ვინაიდან თავიანთი გაუფრთხილებლობით, თავიანთი უტაქტობით, რომ მეტი არ ვთქვათ, ისინი ეხოლოდ აფუჭებენ ჩვენ საერთო საქმეს—საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობას.

ფ. მახარაძე.

„კომუნისტი“.

**რესპუბლიკის დაცვის კანონი.**

მოსკოვი. 15 ივლისი, რეიხსტაგში მეორე მეორე წაკითხვა რესპუბლიკის დაცვის კანონ-პროექტისა. გერმანელ ნაციონალისტების წარმომადგენელნი წავიდნენ ამ კანონის წინააღმდეგ. იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ კანონი უნდა ვრცელდებოდეს არამც თუ მემარჯვენეებზე, მემარცხენეებზედაც კი. კომუნისტ გერცფელდმა უპასუხა, რომ კანონი, რომელიც უნდა მიმართული იყოს მონარქისტების წინააღმდეგ გახდა კონსტიტუციის დაცვის კანონად. ორატორმა აღნიშნა, რომ ეს კანონი ხდება გერმანიის მსაჯულთა ხელში მემარცხენეებთან ბრძოლის იარაღად. მუშა ორატორები მოითხოვენ ერთიანი მუშათა ფრონტის აუცილებლობას.

**რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების საკითხი.**

მოსკოვი. 8 ივლისი. რომიდან მოსული ცნობებით, იტალიის გაზეთები აწერენ რუსეთ იტალიის ხელშეკრულების წინ სწორ უარყოფას იმ პროექტებს, რომელიც თითქოს განაცხადა გერმანიამ იმის გამო, რომ ამ ხელშეკრულების ძალით იტალიას ენიჭება ისეთი უფლებები, რომელიც სცილდებიან რუსეთ-გერმანიის რაპალოს ხელშეკრულების ჩარჩოებს.

ამის გამო, გერმანიის წარმომადგენლობა მოსკოვში იუწყება, რომ არც თვით მას, არც გერმანიის მთავრობას რუსეთ იტალიის ხელშეკრულების პროექტის წინააღმდეგ არავითარი სიტყვიერ გამოშვლებას ადგილი არ ქონდა, და ყველა ცნობებს ამის შესახებ მოკლებული აქვს ყოველივე საფუძველი.

**ავსტრიის წარმომადგენლის მიღება.**

მოსკოვი. 8 ივლისი. ამხ. კარახანის მიერ ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნების სიგელის მიღების დროს, მოსკოვში ჩამოსულმა ამ რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელ პოლმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა რ. ს. ფ. ს. რ. და ავსტრიის დიპლომატიური ურთიერთობა და მიუთითა მრავალ და მნიშვნელოვან სამეურნეო კავშირზე ორივე ქვეყნებისა და რ. ს. ფ. ს. რ. როლზე, როგორც ავსტრიის აღორძინების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.

საპასუხო სიტყვაში კარახანი შეეხო ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოებში შექმნილი სამწუხარო მდგომარეობას და და ომის მიერ დარღვეულ ეკონომიურ კავშირის საერთო ეკონომიური კეთილდღეობის შეთანხმებულად აღდგენის აუცილებლობას. ამხ. კარახანი აგრეთვე შეეხო რაპალოს და რუსეთ-ავსტრიის ხელშეკრულებების დიდი მნიშვნელობა პოლის თვალსაჩინო პერსონალურ როლზე მითითებით, რომელიც მრავალი თვეების განმავლობაში, როგორც სამხედრო ტყვეების საქმეთა სრულუფლებიან წარმომადგენელი ხელს უწყობდა ავსტრიის რ. ს. ფ. ს. რ-თან დაახლოებას.

**სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები.**

ბორდო. 4 ივლისი. რობერტ სესილის პროექტის გარჩევის დროს, განიარაღების შესახებ „ტანი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთს არ უნდა ქონდეს შიში ამ საკითხზე კამათის, რადგან თუ შევაერთებთ ყველა სამხედრო ხარჯებს ერთგვარ ფულის ერთეულთან მაშინ მივიღებთ, რომ სამხედრო ხარჯების მხრივ საფრანგეთს უჭირავს ოთხი ადგილი სხვა სახელმწიფოთა შორის. სამხედრო ხარჯები ერთი წლის საფრანგეთისა უდრის 1.800.230.000 ფრ. ოქროთი, მაშინ, როდესაც იაპონიის სამხედრო ხარჯები უდრის 1.900.000,000 ფრ. ინგლისის 4,300,000,000 ფრ. და შეერთებული შტატებს ექვსი მილიარდი ასი მილიონი ფრ.

**ჰაეროპლანის ახალი ტიპი.**

ლიფილდი, 28 ივნისის. ლონდონის გაზეთების ცნობით, ინგლისში გაკეთებულია ახალი ტიპი ჰაერში მფრინავი აპარატისა, რომელიც გამოსადეგია საქონლის ტრანსპორტისათვის. ავიაციის სამინისტრო არკვევს შესაძლოებას ახალი აპარატის სამხედრო საქმეებში გამოსაყენებლად. განსაკუთრებული თვისება ამ ჰაეროპლანისა მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია არ მარტო ჰაერში, ფრენა არამედ ცურვა ზღვაზედაც ძლიერი ქარიშხალის დროსაც.

# ახალი ამბები

— ტფ. სახელმწ. უნივერსიტეტში. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა: 1. საქართველოს საისტორიო დარგში: თამარ ლომაურმა, სიმონ ჯანაშიამ, სერგო მაკალათიამ, გრიგოლ ფურცელაძემ, ვარლამ ბახტაძემ, გიორგი ბოჭორიძემ და ტიტე ფარცხალაძემ. 2 დასავლეთ ევროპის საისტორიო დარგი: ნინო ასამბაძემ, შუშანიკ ქართველიშვილმა, ალექსანდრე რაკოიკაძემ, ალექსანდრე უკლებამ და შალვა აბრამიძემ. 3 სიტყვიერების დარგი: გიორგი ჯიკოშიამ. 4. ენათ მეცნიერების დარგი: ბენედიქტე ჩიქობავამ და ვიქტორ თოფურიძემ. 5 ფილოსოფიური დარგი: კონსტ. ბაქრაძემ. 6. ხელოვნების დარგი: შალვა ამირანაშვილმა.

— წყლით სარგებლობა. ტფ. ქალ. აღმასკომის კომუნალური განყოფილების კოლეგიამ დაადასტურა ქალაქის წყლით სარგებლობის გადასახადის განაწილების წესი, მაგრამ სცნო საჭიროდ დატყვევება და იძულებითი სამუშაო გადაუხდელობისათვის, ხოლო თუ განმეორებული იქნება უკანასკნელი მოვლენა შეაძლებლად ცნობს არაგადამხდელთა გამოსახლებას ბინიდან.

— საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების უფასო ამბულატორიის მიერ გაწეული დახმარება ქ. თბილისის მცხოვრებთათვის ა. წ. 1-ლ მაისიდან 1-ლ ივლისამდე. საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების სამედიცინო სამმართველოს ცნობით, წითელი ჯვრის უფასო ამბულატორიამ საექიმო დახმარება აღმოუჩინა მაისში 949 ავადმყოფს, ივნისში—699, სულ 1648 ავადმყოფს. ამათგან 1564 კაცი დაავადმყოფებული იყო მალარიით და 84 კი სხვა და სხვა ავადმყოფობით. რაიონების მიხედვით მალარიით ავადმყოფთა ნაჩვენები რიცხვი შემდეგ ნაირად ნაწილდება: 1) საბურთალო—988 ავ., 2) ვერა—250 ავ., 3) ახალშენი—231 ავ., 4) ვაკე—77 ავ. და 5) ქალაქის სხვა რაიონები—19 ავ.. მალარიით ავადმყოფებს სულ ყველას განურჩევლად მიეცა უფასოთ ქინაქინა.

— წყალსადენი. ავჭალის სადგურის წყლს ორივე ტურბინისა და წყლის საქაჩავის კაპიტალურ რემონტს შეუდგნენ და უნდა აწარმოონ დამავრებული სასწრაფოთ რომ 1 თვეში დაამთავრონ.

# პროვინციის ცხოვრება

ხაერხი ქარხანა ახალციხეში. სახერხი ქარხანას, ყოფილი ათაბეგოვისა, რომელიც სამ ვერსზედ არის ქალაქიდან. აღმასკომმა გაუკეთა ნაციონალიზაცია. ქარხანას თავისი სიდიდით და ტეხნიკური მოწყობილობით მეორე ადგილი უჭირავს საქართველოში. ზოგი ერთი ნაწილების უქონლობის გამო (ხერხის. დვედებისა და სხ.) ქარხანა აქამდე არ მოქმედებდა. ამ ჟამად ყველა ნაწილები მოტანილია ტფილისიდან და ქარხანა უახლოეს დროში დაიწყებს მუშაობას. დასახერხი მასალები საკმაოდ მოტანილი არის უკვე წყლით. პირველ რიგში განზრახულია დაიხერხოს მასალები აღმასკომის საჭიროების უფლებისათვის.

დეზერტირობა გორში. წლის დასაწყისში დეზერტირობამ გორის მაზრაში მიიღო სერიოზული ხასიათი. სამხედრო კომისარიატისა და კომდეზის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების გამო, დეზერტირობა მთელს მაზრაში საჩქაროდ მოისპო. კომდეზის დადგენილებით გაწვევისაგან გაქცეულთა შემნახველნი დატუსაღებულნი იქნებიან თავისუფლების შეზღუდვით ერთი თვე, დეზერტირები კი, რომელნიც გაქცეულნი არიან ნაწილებიდან, იგზავნებიან პირ და პირ თავიანთ ნაწილებში სასამართლოში მისაცემად. ზემოდ აღნიშნულ ზომების მიღების შემდეგ, გაქცეულები თავისი ნებით შეუდგნენ უკან დაბრუნებას.

მოსავალი აჭარაში. აჭარის ცენტ. სტატისტიკურ ბიუროს ცნობებით ნათესები 1 მაისიდან პირველ ივლისამდე შემდეგს მდგომარეობაში იყო (ხუთ-ბალიანი სისტემით)

ორთა-ბათუმის თემში—სიმინდი—5, ლობიო—5, ქობულეთის თემში—სიმინდი 4 (საშუალოზე მეტი), ლობიო—5 (კარგი), ქართოფილი—4 (საშუალოზე მეტი); ქახეთის თემში—სიმინდი 4, ლობიო—3 (საშუალო), ქართოფილი 4; კომბოსტო—2 (საშუალოზე ნაკლები); კეტრიბის თემში სიმინდი—4; ლობიო 5, ქართოფილი—5. საზრებში ნათესების მდგომარეობა საშუალოდ შემდეგს სახეს იძლევა: ბათუმის მაზრაში სიმინდი—4; ლობიო—5; ქობულეთის მაზრაში—სიმინდი—4 ლობიო 4, ქართოფილი—4, კომბოსტო 2 (საშუალოზე ნაკლები).

# სამხატვრო კრონიკა

— „ბახტრიონი“ გამოვიდა მორიგი ნომერი (№ 3), ყოველ-კვირეულ გაზ. „ბახტრიონის“, შინაარსი: ახალ საზღვართან—შ. აფხაიძისა, ქართული სიძველეების ჩამოტანა რუსეთიდან. ლიტერატურული ქრონიკა, არტელ ლეისტი, არსენას საფლავი, საქართველოს სიძველენი, თეატრი და მუსიკა. ბიბლიოგრაფია, ლექსები: ს. შანშიაშვილისა და კ. ჰეჰიძის.

# პარტიაში

დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

# კამო პეტროსოვი

უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჩვენი ქვეყნის ცნობილი რევოლიუციონერი, მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი კამო პეტროსოვი. მოკვდა ადამიანი, რომელიც რევოლიუციისათვის იყო მოვლენილი ქვეყნად, რევოლიუციისთვის სცოცხლობდა, რევოლიუციის საქმეს ემსახურებოდა, რევოლიუციით ხარობდა და რევოლიუციაში ისვენებდა...

21 წელიწადია ვიცნობდი კამოს და მხოლოდ 1910 წ. პირველად მეტეხის ციხეში გავიგე, რომ გვარად კამო ტერ-პეტროსოვი იყო. მანამდე კამოს გვარი და მისი ეროვნება ჩემთვის უცნობი იყო.

დარწმუნებული ვარ უცნობი იყო მისი გვარი და ეროვნული ვინაობა მრავალ სხვებისათვისაც, ვისაც მასთან მუშაობა და საქმის გაკეთება უხდებოდა. კამო—ეს ლეგენდარული სახელი სავსებით საკმარისი იყო მისი ვინაობის აღსანიშნავად, ამ სახელით იცნობდა ყველა ამ საარაკო პიროვნებას და ამ სახელითვე იყო ჟანდარმერიის „დავთრებში“ ჩაწერილი.

საკვირველია ადამიანის სიცოცხლე საზოგადოთ და მით უმეტეს საკვირველი და თავბრუდამხვევია კამო ტერ-პეტროსოვის სიცოცხლის ტრაღიკული ბოლო. კაცი რომლისთვისაც არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიკვდილს თვალებში უშიშრად ჩასცქეროდა და მასხარად იგდებდა, რომელსაც ჯიბით დაჰქონდა ციხე სიმაგრის გამანადგურებელი და სიცოცხლის მომსპობი ყუმბარები, რომლისთვისაც ბორკილები სათამაშო ნივთი იყო, რომელიც ყველგვით სჭრიდა საპყრობილეთა რკინის საშინელ ურდულებს და ისე თავისუფლად გამოდიოდა მათგან, რათა კვლავ განეგრძო საყვარელი საქმე, რევოლიუციის სამსახური, მსხვერპლი გახდა უეცარი შემთხვევის.

მთელი რევოლიუციონური საქართველო, ამიერ კავკასია და რუსეთი კარგად იცნობს კამოს, ამ მოუსვენარსა და იშვიათ რევოლიუციონერს, ხოლო განსაკუთრებით ცნობილია მისი სახელი ძველ მოწინავე მუშათა შორის. დაწყებული 1901 წლიდან ვერ დაასახელებთ ვერც ერთ თვალსაჩინო რევოლიუციონურ აქტს, რომელშიაც კამოს მონაწილეობა არ მიეღოს. არალეგალურ სტამბების მოწყობა და გადატან გადმოტანა ხომ მისი სპეციალობა იყო.

1905 წ. რევოლიუციის დროს კამო სხვა მოწინავე ამხანაგებთან ერთად ნაძალადევში ხელში ჩაუვარდა კაზაკების მზვერავთა რაზმს. კამო და მისი ამხანაგები თავითფეხამდე შეიარაღებულნი იყვნენ და დიდი წინააღმდეგობაც გაუწიეს კაზაკებს. მაგრამ უკანასკნელებმა დასძლიეს და მთელი ჯგუფი ხელში ჩაიგდეს. ყველას ყელი გამოსჭრეს, მხოლოდ კამო გადარჩა რადაც სასწაულით და ხელიდან გაუსხლტა მეფის გამხეცებულ მხედრებს. დახოცილი რევოლიუციონერები მეორე დღეს აღმოაჩინეს ნაძალადეველმა მუშებმა და იქვე მიაბარეს მიწას. ასე იქნა დაარსებული ნაძალადევის საძმო სასაფლაო.

ამის შემდეგ კამოს ერთი წუთითაც არ შეუსვენია და დღითი დღე თვითმპყრობელობის ციხე სიმაგრეზე ბეჯითი იერიში მიჰქონდა, ვინემ ეს ციხე სიმაგრე საბოლოოდ არ დაინგრა 1917 წ. დიდი რევოლიუციის წყალობით. ძნელი მეტად ძნელი, თითქმის შეუძლებელია კამოს ყველა რევოლიუციონური აქტების დასახელება. და ეს არც საჭიროა: ვინც იცნობდა მას, მან ყველაფე-

რი ისე, და კარგად იცის მისი რევოლუციონერი მოღვაწეობიდან, ხოლო ვინც არ იცნობდა, ის ყველა ამას მაინც არ დაიჯერებს.

რევოლუციამ, რომელსაც კამო ასე თავდავიწყებით ემსახურებოდა, მუშათა კლასს პოლიტიკური ძალა უფლება მოუპოვა, ხოლო დაჩაგრულ ერებს—ეროვნული თავისუფლება. ამიტომ, სანამ ეს ძალა-უფლება უპყრია ხელთ საქართველოს მუშებს, კამოს ხსენებაც წაუშლელი იქნება, სანამ სცოცხლობს წითელი საქართველო, მას არ შეუძლია დაივიწყებს მისი ეს კამო ტერ-პეტროსოვის სახელი.

კამო ტერ-პეტროსოვი ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო კომუნისტური პარტიისა, მაგრამ ის არ იყო ვიწრო პარტიული ფანატიკი, რომლისთვისაც გარეშე პარტიისა არაფერი არსებობს. არა, კამო უპირველეს ყოვლისა იყო ჭეშმარიტი რევოლუციონერი და ნამდვილი ამხანაგი ყველა გულწრფელი რევოლუციონერისა, რომელი პარტიისაც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი.

ამიტომ კამოს დაკარგვა დიდი დანაკლისია არა მარტო კომუნისტური პარტიისათვის, არამედ ყველა იმათვის, ვისაც რევოლუციის საქმე აინტერესებს.

საუკუნო-ხსენება ამხ. კამო პეტროსოვს!

ეს. ტორონჯაძე.

# ფედერალურ საბჭოში

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატში მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით—სიორგანიზაციო და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენი. ხდება საბჭოს ორგანიზაცია ფინანსთა კომისარიატთან. სასურველი კანდიდატის შესახებ და კითხულ იქნა რესპუბლიკათა სახ. კომისართა საბჭოები. განზრახულია საბჭოს ორგანიზაცია, ფინანსთა კომისარიატის აპარატთან ერთად, აგვისტოში.

ფინანსთა კომისარიატის ორგანიზაცია იქნება შემდეგი სახით: დარგების ხელმძღვანელად იქნებიან საბჭოს წევრები, რომელნიც უნდა მძღვანელობენ ფინანსთა კომისარიატის სხვა და სხვა განყოფილებების საფინანსო მეურნეობას.

მთელი საფინანსო მეურნეობა ფედერაციის გაყოფილ იქნება ხუთ ნაწილად. ფუნქცია ფულის მიმოქცევის და კრედიტის განსაზღვრება ფულის ნიშნების გამოცემაში და განაწილებაში და აგრეთვე იმ საკითხებით, რომელნიც დაკავშირებულია ფულის ტირაჟთან კომისარიატის ამ განყოფილების განკარგულებაში იქნება სახალხო ბანკები, კერძო ბანკები და საკრედიტო დაწესებულებანი, როგორც ადგილობრივი ისე უცხოეთის.

მეორე ნაწილია საკითხები ბიუჯეტის შესახებ. განხილვა ბიუჯეტის რესპუბლიკების მიხედვით, კრედიტების ასიგნაცია, შედგენა ფედერალური ბიუჯეტის, მისი შესრულება და სხ. და სხ. ყველა ეს დაქვემდებარება რესპუბ. კომისარიატის ერთ განყოფილებას.

მესამე განყოფილებას მიენდობა საკითხები საბაჟო პოლიტიკის და შინა გადასახადის ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე.

მეოთხე განყოფილებას დაევალება პირდაპირი გადასახადები, შეთანხმება საგადასახადო პოლიტიკის და საგადასახადო მუშაობის ცალკე რესპუბლიკებთან.

მეხუთე განყოფილების მოვალეობას შეადგენს პოლიტიკა და არა პირდაპირი გადასახადის გატარება.

მიმდინარე მუშაობა აწარმოებს ცხლად. აწარმოებს მუშაობა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებაც. ფინანსთა კომისარიატმა გაუგზავნა ინსტრუქცია ყველა კომისარიატებს ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

ხარჯთ-აღრიცხვა შემოვა ფინანსთა კომისარიატში აგვისტოს პირველ რიცხვებიდან.

იმ კომისარიატებისათვის, რომელნიც შეუდგა მუშაობას, მახლობელ ხარჯებისათვის, დამტკიცებულია დროებითი ხარჯთ-აღრიცხვა, სანამ შედგენილი იქნებოდეს ერთი ხარჯთ-აღრიცხვა.

პრეზიდიუმში ფედერალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 14 ივლისს დასმული იყო კითხვები, რომელნიც ეხებიან ნავთის სინდიკატის, ნავთის ექსპორტის და საოლქო „გუტის" ორგანიზაციას.

ამასთანავე დადგენილ იქნა ეთხოვოს აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს საჩქაროდ განიხილოს საკითხები ნავთის ექსპორტისა და საოლქო „გუტისა" და წარმოადგინოს თვისი წერილობითი აზრი ამ საკითხის შესახებ.

ნავთის სინდიკატის საკითხის შესახებ აგრეთვე დადგენილ იქნა ეთხოვოს აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს წარმოადგინოს ფედერალურ საბჭოში რატიფიკაციისათვის ხელშეკრულება აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოსაგან თვისი ფონდით ნავთის სინდიკატის გამგეობაში შესვლის შესახებ.

ამ საკითხის გადაჭრამდის საგარეო ვაჭრობის კომისარიატს მიეცა უფლება ნება დართოს აზნავთის ადგილობრივ განყოფილებების საშუალებით გატანოს ნავთის პროდუქტები საზღვარგარეთ.

# ტფილისის ქალაქის აღმასკომში

### ივლისის 1 სხდომა.

**საბინაო საკითხი.** თავმჯდომარეობს ამხ. ლ. დუმბაძე კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ი. წივწივაძე აკეთებს მოხსენებას საბინაო საკითხის შესახებ და კითხულობს პროექტს სავალდებულო დადგენილებისას, რომლის ძალით პირველი კატეგორიის პირნი გათანასწორებულნი არიან ბინის გადასახადში. იხდიან 1 კვ. არშინზედ 1000 მან. სადაც უნდა ცხოვრობდეს, ცენტრში გინდა განაპირას. პირველ კატეგორიაში შეტანილი აგრეთვე საბჭოთა ექიმები, თუ გინდ მათ კერძო პრაქტიკაც ჰქონდეთ.

აღმასკომს შესწორება შეაქვს პროექტის 1 მუხლში, რომლის ძალით აღმასკომის დადგენილებანი უნდა გავრცელებულიყო მხოლოთ ათ და მეტ ოთახიან სახლებზედ. შესწორებათ კი უნდა გავრცელდეს 5 და მეტ ოთახიან სახლებზედ.

5 მუხლი საბჭოთა დაწესებულებები იხდიან 1 კვ. არშინზედ 3500 მ. ამხ. რუხაძის წინადადებით სკოლებისათვის ეს ფირა შეამცირეს 1000 მანეთამდე.

სახლის პატრონები ვალდებულნი არიან გააკეთონ კაპიტალური რემონტი, დააყენონ შენობები. როგორც ახალ აშენებული სახლები, ისე დამთავრებულნი, თუ შიგ დღემდის არავინ სცხოვრობდა, თავისუფალია რეკვიზიციისაგან, მუნიციპალიზაციისაგან და მათზედ არ ვრცელდება საბინაო წესები.

**მუშათა უბნების შესახებ.** მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. წივწივაძე, რომლის აზრით საბინაო კანონები მიზანს ვერ აღწევენ. მდგმურთა შემჭიდროება აღწევს 7-დან 14 კვ. არშინამდე სულზედ. საჭიროა მუშათა უბნების გაშენება. საქ. პროფკავშირთა საბჭომ უარყოფით შეხვდა ინდივიდუალურ აღმშენებლობას და მხარს უჭერს კოლექტიურ დასაწყისს. ქალაქმა უნდა უფასოდ მისცეს განაპირა ადგილები ვაკეში, ნაძალადევში, საბურთალოში და სხ. ამ საქმის დასაგვირგვინებლად აღმასკომი აარსებს კომუნალურ სააღმშენებლო ბანკს და გადასდებს ამისათვის 10 მილიარდ მანეთს.

შემდეგ მიღებული იქმნა დამატებითი წესები წყლის გადასახადის აკრეფვის შესახებ და სხდომა დაიხურა.

# პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა კავშირის ყრილობა.

შაბათს, ივლისის 15-ს, საქ. პრ. კავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების მუშათა პროფესიონალური კავშირის მეორე ყრილობა. ყრილობაზე წარმოგზავნილია 54 დელეგატი. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგი ამხანაგებისაგან: ბოლქვაძე, ბერბერაშვილი, ტოროტაძე, იამვილი, ვიგნიანსკი. ყრილობას შემდეგი დღიური წესრიგი წარედგინა ცენტრალური გამგეობისაგან: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) ანგარიში კავშირის ცენტრალური გამგეობისა 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) მოხსენება რუსეთის პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლისა, 5) პოლიგრაფიული განყოფილების მოხსენება, 6) მოხსენება ადგილებიდან, 7) საორგანიზაციო კითხვები 8) ტარიფის საკითხი, 9) მუშათა დაზღვევა, 10) კულტურული მუშაობა, 11) დამშეულთა დახმარება, 12) არჩევნები ცენტრალური გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და დელეგატისა რუსეთის ყრილობაზე გასაგზავნად. ეს დღიური წესრიგი ყრილობამ უცვლელად დაამტკიცა. ყრილობას მიულოცეს: კომუნისტური პარტიის სახელით რუხაძემ, მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის სახელით მელაშვილმა, საქ. პროფ-კავშირთა საბჭოს სახელით—ბოლქვაძემ, რუსეთის პოლიგრ. წარმოების კავშირის სახელით დავიდოვმა და ბათომის კავშირის სახელით ვიგნიანსკიმ. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ტრაგიკულად გარდაცვალებულ კამო პეტროსოვის ხსოვნას ყრილობა რამდენიმე დღეს გასტანს. ვრცელი ანგარიში ყრილობის დასრულების შემდეგ დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

ე.

# ნათესების მდგომარეობა ჩვენში

(ცენტრ. სტატისტიკური განყოფ. ცნობები)

1 ივლისის მოსავლის ნიშნები ხუთ-ბალიანი სისტემით იძლევა შემდეგ სურათს:

| კულტურა | გორის მაზრა | ახალ ციხის მაზრა | ზუგდიდის მაზრა | ოზურგეთის მაზრა |
|---|---|---|---|---|
| სიმინდი | 3,5 | 3,6 | 5,0 | 2,9 |
| შემოდ. ხორბალი (ფქვილი) | 3,8 | 2,7 | — | — |
| გაზ. " (ანეული) | 3,3 | 3 | — | — |
| შემოდ. ქერი (ქრთილი) | 3,9 | — | — | — |
| ქერი | 3,4 | — | — | — |
| ჭვავი | 4,3 | — | — | — |
| შვრია: | — | — | 5,0 | — |
| ფეტვი | 3 | — | — | — |
| ღომი | — | — | 5 | 3 |
| კართოფილი | 3,2 | 3,7 | 5 | 3 |
| ლობიო | 2,9 | 3,2 | 5 | 3 |
| ბოსტნეულობა | 4,6 | — | — | — |
| ღვინის მოსავალი | — | — | 4 | — |

**გორის მაზრაში** საერთოდ მოსავლის პირი გაუმჯობესდა. (6 და 22 ივნის კოხის გამო საკმაოდ დაზიანდა მოსავალი. კოხისაგან მრავალი სოფელია დაზიანებული და ზომებია მიღებული ზარალის გამოსაკვლევად.

**ახალ ციხის მაზრაში** შედარებით გამოკეთდა სიმინდისა და შემდ. პურის მოსავალი, დანარჩენი ხორბლეულობის მოსავალი უცვლელია.

**ზუგდიდის მაზრაში** მდგომარეობა მოსავლის კარგია, ღვინის მოსავლის ნიშნები საშუალოზე უკეთესია. ზოგიერთ ადგილებში მოსავალი დააზარალა კოხმა.

**ოზურგეთის მაზრაში** გაუმჯობესდა მდგომარეობა სიმინდის ნათესის, რომელიც თითქმის დამაკმაყოფილებელია. გამოსწორდა აგრეთვე კართოფილი და ლობიო. ფრიად გაუმჯობესდა ღომის მოსავალი, რომელიც წინეთ მეტად ცუდ სურათს იძლეოდა მაქვანეთში კოხმა დააზარალა 400 ქცევა სიმინდის ნათესი.

# მოწერილი ამბები

**ბახმარო** ამ ბოლო დროს ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ კურორტ ბახმაროს შესახებ. არა ეს არის საკვირველი, არამედ საკვირველია, რომ აქამდი მას არავინ ყურადღებას არ აქცევდა და იყო ღვთის ანაბარად მიგდებული, მხოლოდ ნიშნად ყურადღებისა ოზურგეთის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ათიოდე „სტრაჟნიკს" თუ მილიციონერს გზავნიდა.

ბახმაროს ეკონომიური და კულტურული მხარის მომწესრიგებელი იყო ე. წ. „ჯანმრთელობის საზოგადოება", რომლის არჩევასა და მუშაობის შეფასებაში მონაწილეობას ღებულობდა ყველა მოაგარაკე, ვინც კი გადაიხდიდა განსაზღვრულ საწევრო გადასახადს.

„ჯ. საზოგადოებას" ქონდა თავისი ფურნე, რიგიანად მოწყობილი სასადილო, რამდენიმე საბაკალეინო და ხილის დუქანი თეატრი, რომელიც ვერ იყო მაინც და მაინც კარგად მოწყობილი, „ბეგლი" მოაგარაკეთა გასართობად და სხვ.

გარდა ამისა ბახმარო დასერილია წყალსადენით, რომელიც იძლევა ანკარა ცივ წყალს.

სხვაფრივ კი სრულიად მოუწყობელია; განსაკუთრებით აღსანიშნავია სახლები, რომლებიც სრულიად ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, რადგან სრულიად უგეგმოდ არის აგებული. დღეს მრავალი მათგანი დანგრეულია. მართალია ძველ მეპატრონეებს დაუბრუნეს, მაგრამ ეს საქმეს მაინც ვერ უშველის. ან მაინც საჭიროა აგარაკის მთავრობის ხელში გადმოსვლის შემდეგ დაცული იყოს სახლების აგების დროს ერთგვარი გეგმა.

ბუნებრივი სილამაზით იშვიათად, თუ რომელიმე კურორტი შეედრება ბახმაროს. ის 8000—9000 ფუტი სიმაღლიდან ამაყად გადმოსცქერის გურიას და დასავლეთ საქართველოსაც. ირგვლივ გარშემორტყმულია ფიჭვნარი ტყეებით, რომლებს იქით აღმართულია ბუმბერაზი მთები, რომლებიც თითქოს დარაჯის როლს ასრულებენ!

აგარაკის შუაზე მიიკლაკნება სუფთა ანკარა ბახვის წყალი, რომელიც მდიდარია კალმახით.

აგარაკის მიდამოების გასაცნობად ყოველწლიურად ხშირად იმართება ექსკურსიები, რომლებიც მეტად მხიარულ სახეს ღებულობენ. განსაკუთრებით ბევრი მიდის ე. წ. „გრძელ გორაზე". საიდანაც უყურებენ მზის ამოსვლას. რომელსაც თვის მშვენიერებით აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. „გრძელ გორაზე" გასამგზავრებლათ თავს იყრიან ბახმაროს [illegible] საათისათვის. აქედან მიემგზავრებიან [illegible] იყის მიაქვს „კვარი" და სხვა, რომთის მწვერვალზე ცეცხლი გააჩაღოს მზის ამოსვლამდე.

ერთ ერთ მთიდან, რომელიც აღმართულია ბახმაროს ჩრდილო-აღმოსავლეთით კარგ ამინდში მოსჩანს ქუთაისი. შორს მხედველი თვალი გაარჩევს ქუთაისის ადგილის მრავალფერს, ხოლო ბინოკლით კი არავითარი ეჭვი არა ეპარება ვინმეს, რომ დანახული ქუთაისია.

აგრეთვე სასიამოვნოა ექსკურსია ე. წ. პატარა „ბახმაროზე", თავრების აგარაკ „ზოტი ყელში" და სხვაგან.

მაგრამ რამდენად სასიამოვნოა ბახმაროზე ყოფნა, იმდენად არა სასიამოვნოა მასზე გამგზავრება მეტადრე თუ ცუდი ამინდია.

ამიტომ ვინც ბახმაროს ანგარიში უწევს, მან პირველად უნდა მიხედოს გზებს, რომლებიც მას აერთებს მნიშვნელოვან ცენტრებთან.

დღეს არც ერთი მათგანი არ არის სათანადო სიმაღლეზე. გზებზე რომ ვლაპარაკობთ, არავინ იფიქროს, რომ გზატკეცილი გვქონდეს მხედველობაში,—ასეთი ჯერ ბახმაროს არა ღირსებია.

ეხლა რამდენიმე „გზაა", რომლებზედაც ცხენით მოგზაურობაც საშიშია", მთავარი მათგანია ვაკისჯვარის, ასკანა-ვანისქედის, ხიდისთავის და ჩოხატაურ-ნაბეღლავის. ყველას მათ ყავს თავისი „პატრიოტები", რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ თავისი გზის დაუწინაურებლათ და არავითარ რეკლამას არ ერიდებიან.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: ამ ათიოდე წლის წინად, ვგონებ ხიდისთაველებს გაუკეთებიათ გზა. მათ რომ რეკლამა გაეკეთებინათ თავიანთი გზისათვის, ბახმაროდან ორი ვერსის მანძილზე გააკეთეს რიგიანი საურმე გზა. სანამდის ამოიტანეს ნაწილ ნაწილად დაშლილი ურემი და ბახმაროზე უკვე მოიყვანეს დატვირთული ურემი ხალხის აღტაცებს საზღვარი აღარ ქონდა. მაზრის უფროსისაგან მეურმეებმა საჩუქარი მიიღეს და სხვ. რასაკვირველია იგივე ურემი ისევ ნაწილ ნაწილად დაშლილი ჩაიტანეს ხიდისთავში.

ყველაზე უკეთესი მდებარეობა უკავია ვაკის-ჯვრის გზას ოზურგეთთან სიახლოვის გამო (12 ვერსი) და ამიტომ ყველაზე მეტი მგზავრი მიდის აქ გზით. მდებარეობის მხრით არა უშავს ჩოხატაურ-ნაბეღლავის გზასაც. სიახლოვისა და სიმტკიცის და სხვა ღირსებით კი ყველას სჯობნის ასკანა-ვანისქედის გზა, რომლის მანძილი არის არა უმეტეს 20 ვერსისა, მაშინ, როდესაც ვაკის-ჯვრიდან ბახმარომდი 35 ვერსზე მეტია.

რამდენჯერმე იყო ის შემოწმებული სპეციალისტების მიერ და საუკეთესოდ ცნობილი.

ამ გზიდანაც მრავალი მგზავრი მიდის. (ასკანა დაშორებულია ოზურგეთს 14 ვერსით, ხოლო ლანჩხუთს 20 ვერსით).

წამსვლელი ჩვეულებრივად ღამეს ათევს ს. ვანისქედში, საიდანაც „ჩალანდრების" საშუალებით მეორე დღესვე მიემგზავრება ბახმაროზე.

გახსნილია აგრეთვე მოგზაურთათვის დანარჩენი 2 გზაც, ჩოხატაურნაბეღლევის და ხიდისთავის.

მ. ს.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი — მთავარი კომიტეტი



საქართვ. ცენტ. მუშ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა, კოლხოზნიკის ქუჩა,

ნ. ფ. ს. ც.